ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 144 (20890) ოთხშაბათი, 20 ივნისი, 1990 წელი. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე, მეთხუთმეტე სესია გაიხსნება 1990 წლის 20 ივნისს, 9 საათზე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და მოწვეულ პირთა რეგისტრაცია იწარმოებს 20 ივნისს — 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1990 წლის 20 ივნისს, 8 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომათა დარბაზში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს

ტივცემულო სახალხო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართავთ ნაკარნახევია ამოცანების სასიათითა და მოვალეობებით, რომელთა გადაწყვეტასაც მიადგა ქვეყანა, ნაკარნახევია ამომრჩეველთა წინაშე, მთელი ხალხის წინაშე, ეროვნებათა წინაშე ჩვენი და თქვენი საერთო სახელმწიფოებრივობის შეგნებით.

დღეს უნდა დავძლიოთ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის ღამის ყველაზე დრამატული მიჯნა, როდესაც თვით მისი არსებობის რეალურ საფრთხედ შეიძლება მოგვევლინოს ცდუნება ვეძებოთ კრიზისის გამოსავალი მარტოდმარტო, ერთურთის ინტერესებისა და, მაშასადამე, მთლიანად ქვეყნის ინტერესების გაუთვალისწინებლად. არადა, სწორედ ამ ინტერესების გათვალისწინება და შეწონასწორებაა ერთადერთი გზა, რომელიც მიგვაღწევინებს ყოველი ჩვენგანისათვის სასურველ მიზნებს. სხვაგვარად ვერ ავიცილებთ თავიდან საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი წყობის, მისი სახელმწიფოებრიობის ნგრევას.

წარმატების მიღწევას შეძლებთ მხოლოდ ერთად, მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით. პროგრესი ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში განუყოფელია. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ყველამ უთუოდ ფეხაწყობილად უნდა იაროს, მხოლოდ ერთი საერთო ბრძანების შემყურე იყოს,- ეს არამც და არამც არ ზღუდავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სუვერენობას.

აი რატომ არის, რომ ჩვენ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, რომლებიც ყველა რესპუბლიკას, ქვეყნის ყველა ავტონომიურ და ტერიტორიულ წარმონაქმნს წარმოვადგენთ, მოგიწოდებთ გააერთიანოთ ძალისხმევა კონსტრუქციული ერთობლივი მუშაობისათვის ჩვენი ხალხების სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ.

დღეს, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განვამტკიცოთ ის საფუძველი, რომელსაც დაემყარება ჩვენი განახლებული ფედერაციის — სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოების კავშირის შენობა. ასეთი საფუძველი უნდა გახდეს საერთო-საკავშირო ბაზარი, რომელიც შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთობლივი გარჯით, საქონლისა და იდეების თავისუფალი მოძრაობის, საკავშირო სარეზერვო სისტემის — სარესურსო, საფინანსო, შრომითი სისტემების კარგად აწყობილი მექანიზმის პირობებში, რომელიც გარანტირებულად დაიცავს ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესებს.

საერთო-საკავშირო ბაზრის ფორმირება, რომელიც გამოხატავს და განავითარებს ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას, გახდება ახალი იმპულსი ისეთი სამოკავშირეო ხელშეკრულების შესამუშავებლად, რომელიც შეესაბამება ეროვნებათშორისი ურთიერთობის თანამედროვე ეტაპის, სსრ კავშირის სახელშეკრულებო სფუძვლების დამკვიდრების რეალიებს. ამისათვის ჩვენ უკვე გვაქვს საკმაოდ მკვიდრი სამართლებრივი ბაზა. მას ქმნის კანონები, რომლებიც ბოლო დროს მიიღო სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ, თუმცა აქაც საბჭოთა ფედერაციის ყველა სუბიექტის ერთობლივი ძიებით შეიძლება ვიპოვოთ და უთუოდ ვიპოვით ახალ მიდგომებსა და გადაწყვეტილებათა ახალ ვარიანტებს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო მოგიწოდებთ კოორდინირებულად გაისარჯოთ საერთო-საკავშირო ბაზრის შექმნის, ჩვენი ფედერაციის განახლების, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადების საკანონმდებლო პრინციპების შემუშავებისათვის. ამ მიზნით უნდა გამოიყენოთ კანონშემოქმედების მთელი გამოცდილება, რომელიც შეძენილი აქვთ საკავშირო ორგანოებს, ჩვენს კომიტეტებსა და კომისიებს, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს.

ჩვენ თანამშრომლობისა და თანამოქმედებისთვის მოვუწოდებთ ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს, მათს კომიტეტებსა და კომისიებს, მზად ვართ ჩავაბათ ამ მუშაობაში უთვალსაჩინოესი ეკონომისტები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, იურისტები, მოვისმინოთ, განვიხილოთ და გავითვალისწინოთ ყოველი აზრი, ყოველი კონსტრუქციული იდეა.

მაშ, მოდით, გამოვიჩინოთ საერთო მისწრაფება თანამშრომლობისადმი, რომელშიც არ იქნებიან არც წაგებულნი, არც დაჩაგრულნი და არც გულნატკენნი!

სწორედ ამ მოწოდებით მოგმართავთ თქვენ, ხოლო თქვენი მეშვეობით — ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ინტერესები. დარწმუნებული ვართ, რომ ერთად, ერთურთის თანადგომის, იდეებისა და გამოცდილების გაზიარების მეოხებით წარმატებით გავივლით იმ ძნელ გზას, რომლის მარტოდმარტო გაევლაც არავის არ უწერია.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო

მიღებულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე 1990 წლის 15 ივნისს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

პურისა და პურპროდუქტების საცალო ფასების

მოგვატებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის

მთავრობის წინადადებათა შესახებ

განიხილა რა სსრ კავშირის მთავრობის წინადადებანი პურისა და პურპროდუქტების საცალო ფასების მომატებასთან დაკავშირებით და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაციის დროული და სრული მიცემის ღონისძიებათა შესახებ, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ მათი მიღება მოითხოვს საფასდებულო განხილვასა და შეთანხმებას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან.

ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის გამო, რომ სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 4 ოქტომბერს „სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ სსრ კავშირის კანონით და 1989 წლის 20 ნოემბერს — „სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციისა და ფასებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“ თავისი დადგენილებით აკრძალა 1990 წელს საყოველთაო მოთხოვნილების საქონლის, მათ შორის, პურისა და პურ-ფუნთუშეულის, ბურღულისა და პარკოსნების, მაკარონის ნაწარმის ფასების მომატება, დაეკალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაამუშაოს და შეუთანხმოს პურისა და პურპროდუქტების ფასების მომატების საკითხი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებსა და მინისტრთა საბჭოებს, და მათი წინადადებების საფუძველზე და შესაბამისად დაუბრუნდეს ამ საკითხის განხილვას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეოთხე სესიაზე.

რუსეთის პარტკონფერენცია

მოსკოვი, 19 ივნისი. (საქინფორმი). მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა რუსეთის პარტიული კონფერენცია. რუსეთის ფედერაციის კომუნისტთა ფორუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვმა. მიმდინარე მომენტსა და რუსეთის სფსრ კომპარტიის შექმნის საკითხის განხილვის გარდა, დელეგატებმა უნდა განიხილონ პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და სკკპ წესდების პროექტები, გადაწყვიტონ მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც გარდაქმნამ დააყენა. როგორ დავძლიოთ კრიზისი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, პარტიაში კონსოლიდაციის რა გზები არსებობს, გარდაუვალია თუ არა მისი გათიშვა და გახდება თუ არა კომუნისტთა გამაერთიანებელი მძლავრი ძალა თვით რუსეთის, პარტკონფერენციაზე? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს მოელის მილიონობით პარტიელი, მთელი ჩვენი ქვეყანა.

თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ მშრომელებმა წლის განვლილ ხუთ თვეში მიწოდების გეგმა 104,6 პროცენტით შეასრულეს. აქ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისი პროდუქციის განახლებას. იზრუნეს თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიური ბაზების დამონტაჟებისათვის. ჯულიეტა სუხიაშვილი № 8 საგამომშრეტელო საამქროს დამკომპლექტებელია. იგი გულმოდგინედ შრომობს და ყოველდღიურ ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: ჯულიეტა სუხიაშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

მოსავალი: პროგნოზები და პრობლემები

მიმდინარე წლის მაისში შექმნილმა ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე და საფრთხე შეუქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და მიწოდების გეგმების შესრულებას.

რესპუბლიკის მემინდვრეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის მეურნეობებში მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და მიწოდების გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის მიღებული ზომების შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლუდვიგ ღურწკაია.

— 24 მაისისათვის, — თქვა მან, — საგაზაფხულო კულტურები დათესილია 248 ათას ჰექტარ ფართობზე, რაც 76 ათასი ჰექტარით აღემატება ამავე პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელს. აქედან კარტოფილი დათესილია 11,1 ათას ჰექტარზე, პამიდვრის ჩითილი — 4 ათას ჰექტარზე. ამავე დროს ჩამორჩება ვენახების, ხეხილის ბაღებისა და მინდვრების დამუშავების სამუშაოები. დაბალმა ტემპერატურამ გავლენა მოახდინა აგრეთვე ჩაის ბუჩქების განვითარებაზე. ამის შედეგად 27 მაისისათვის შარშანდელთან შედარებით სხვაობამ ჩაის ფოთლის დამზადებაში 55,6 ათასი ტონა შეადგინა. გაჭიანურებული წვიმების შედეგად გაიზარდა ჩაწოლილი ხაშემოდგომო ხორბლის ფართობი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების აღმასკომებს წინასწარ განსაზღვრონ სახოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გეგმების შესრულების პროგნოზები, შეიმუშაონ და განახორციელონ სეტყვა-გაქიანურებული წვიმებისა და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამუშაოთა განხორციელებას აგროტექნიკურ ვადებში, მიიღონ დამატებითი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გეგმის შესრულებაში მოსალოდნელი სხვაობის შეშცირებას. უნდა გავაანალიზოთ საადრეო კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დამზადების მიმდინარეობა და შექმნილი ვითარების შესაბამისად მივიღოთ ზომები მიწოდების გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის. მეჩაიეობის მეურნეობებსა და ნედლეულის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში საჭიროა აგრეთვე დროულად შეუდგნენ ფუყის კრეფასა და გადამუშავებას, ყურადღება დაუთმონ ჩაის ფოთლის კრეფის, გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას, იზრუნონ ხარისხოვანი ნედლეულის რაოდენობის გადიდებისათვის.

შექმნილი პირობების, 1990-1991 წლების გამოზამთრების პერიოდში საზოგადოებრივ სექტორსა და პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის დავალების გათვალისწინებით საჭიროა გულდასმით გადავამოწმოთ, დავაზუსტოთ, მივიღოთ ზომები თივის, სილოსის, ბალახის ფხვნილისა და სხვა საკვების დამზადების გეგმების შესრულებისათვის.

უნდა დავაჩქაროთ მოხავლის ახალები ტექნიკის შეკეთებაც, იგი ორი კვირის ვადაში მოლიანად უნდა იყოს მზად საკვების აღებისა და დამზადების ხეზონის დაწყებისათვის.

თავის მხრივ, კამპანიის შემჭიდროებულ ვადებში დასრულებას უზრუნველყოფისათვის, საქართველოს სახაგრომრეწვა ბაგაზავნა რაიონებში შესაბამისი სამსახურების კვალიფიციური სპეციალისტები, კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა უზრუნველყოთ რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანებაც „საქხოფლტრანსის“ ავტოკოლონების მზადყოფნა მოსავლის აღებისათვის. კერძოდ, სატვირთო ავტოკოლონები ახეთი ვარაუდით უნდა დავაკომპლექტოთ, რომ ყველელ ავტომობილზე მოდიოდეს ორ-ორი მძღოლი.

უნდა მოვიმარაგოთ აგრეთვე საჭირო რაოდენობის საწვავ-საპოხი მასალები, კონტროლი დაუწესოთ მეურნეობებში ნავთობპროდუქტების დანიშნულებისამებრ გამოყენებასა და შენახვას.

სახაგრომრეწვამ, რესპუბლიკის იმ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც აქვთ დამხმარე მეურნეობები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების აღმასკომებმა უნდა მიიღონ ზომები 1991 წელს საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი თესლით სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის უზრუნველყოფისათვის. იზრუნონ სადაზღვევო და გარდამავალი სათესლე ფონდების შექმნის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალხარისხოვანი და მიბრდული თესლის დამზადების გეგმების შესრულებისათვის.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ საობობის სახელმწიფო კომიტეტს, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის საწარმოო გაერთიანებას, პუროპროდუქტების სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში. (საქინფორმი).

გამარჯობათ, მშობლიურო მთებო!..

მთავრდება ცხვრის გადმორეკვა კასპისპირეთის, შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის იალაღებზე. მლეთის სანახებს ცხვარი უკვე შეეფინა. ცნობილმა თავრობანმა ყარამან გაგაძემ, რომელიც შვილს ეხმარება, გვითხრა:

— ცხვარში გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. მოვხუცდი, მაგრამ მაინც ვერ ველევი ამ პროფესიას, ახლა მეცხვარეებს კარგი დრო დაგვიდგა. იჯარით ვმუშაობთ, ჩვენც ვიგებთ და კოლმეურნეობაც. ჩემი ვაჟიშვილის, შალიკოს ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს ხორცის, მატყლის წარმოების, ნამატის გამოზრდის გეგმებს. შექმნილ დოვლათში ჩვენი წილიც საკმაოდ გვეგულება, თავს არ ვზოგავთ.

თეთრი ქარავნები მიიწევენ თრიალეთის მთავარი ქედის კალთების, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის მთებისაკენ.

ჰეეა-ქუხილმა, ღამის სუსხმა გარკვეული კორექტივები შეიტანა მთის საძოვრებისაკენ ფარების მოძრაობის გრაფიკში, განსაკუთრებით არაგვის ხეობაში, ალაზნის, ილტოს, ქსნის სათავეებისაკენ. იქ, სადაც ამის საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საზღვრები, მწყემსები პირუტყვს პირდაპირ მარშრუტის მიმდებარე ადგილებში აძოვებენ. სხვა შემთხვევაში ცხვარს კვებავენ უხეში საკვებით. მოჯარეთა აქტიური მხარდაჭერითა და პირადი შრომითი მონაწილეობით მეურნეობებმა საკვების მარაგი დაამზადეს ამინდის რთულ პირობებში, ამით უზრუნველყოფენ პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას.

საზაფხულო იალაღებზე ცხვრის გადარეკვისა და გადასვლის მოსამზადებელი სამუშაოები მთლიანად დამაკმაყოფილებლად განხორციელდა. სამეურნეო ორგანოებმა გამოიყენეს რკინიგზის ტრანსპორტელებთან საკუთარი თანამშრომლობის გამოცდილება, რომელიც 1977 წელს დაინერგა. მაშინ პირველად დაიწყო რკინიგზის ვაგონებით ფარების მასობრივი გადაყვანა. ეს ხელსაყრელი საქმეა: ერთი სული პირუტყვის გადაყვანა საშუალოდ 30 კაპიკ ჯდება, ბევრად ნაკლები, ვიდრე ქვეითად გადარეკვის დროს.

შესაბამისმა სამსახურებმა, მათ შორის ყიზლარისა და შირაქის საძოვრების სამმართველოებმა იზრუნეს ცხვრის ნორმალური გადარეკვისათვის. ტრასებზე გაწლაგებული იყო დასასვენებელი მოედნები, სარწყულებები, შესაძლებლობის ფარგლებში მოეწყო მწყემსთა კვება და დასვენება, თუმცა რესპუბლიკის მომთაბარე მეცხვარეობის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს, სხვადასხვა დამხმარე სამსახურებს, საკონტროლო ვეტერინარული პუნქტების სპეციალისტებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის მუშაკებს შემდგომში მოუწევთ ამ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადებისა და მიმდინარეობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრა, რათა უზრუნველყოთ თეთრი ქარავნების შეუფერხებელი მოძრაობის პირობები მთელ გზაზე — ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებისაკენ.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

დამსახურებული ჯილდო

18 ივნისს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სახელოვანი საუკუნოვანი იუბილეს დღეს რესპუბლიკის უძველეს შბატვრულ კოლექტივს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი გადაეცა. ანსამბლს ეს ჯილდო მიენიჭა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის. წაიკითხეს აგრეთვე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ანსამბლის მუშაკებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

გადასცა რა სიგელები, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ გულთბილად მიულოცა ანსამბლის ხელმძღვანელობასა და სოლისტებს დასის ასი წლისთავი, რომელიც ქართული ხალხური მუსიკის პირველი საერთაშორისო ფესტივალის დღეებში აღინიშნება. საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ანსამბლს პირველს მიენიჭა რესპუბლიკაში აკადემიურის წოდება. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ანსამბლის წვლილი ჩვენი უჯრედი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის განვითარებაში, რომლის ფესვებიც ასაზრდოებს თანამედროვე კულტურას. გ. გუმბარიძემ გულითადი მადლობა უძღვნა კოლექტივის ხელმძღვანელობას, ანსამბლის ყველა სოლისტს იმ საპატიო მოღვაწეობისათვის, რომელსაც ისინი ეწევიან რესპუბლიკაში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ თავისთავადი ქართული ხელოვნების პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის.

კოლექტივს იუბილე და ჯილდო მიულოცა საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი ჯემალ ჭკუასელი. დიდი მადლიერების ნიშნად უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზის თაღებქვეშ ანსამბლის სოლისტებმა დაგუგუნეს „შრავალჟამიერი“ — სიმბოლო ქართული სიმღერის და იმ ერის უკვდავებისა, რომელმაც ასეთი უნიკალური საგანძური შექმნა და შემოგვინახა.

ჯილდოს გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა და მისი მოადგილე ვაჟა ლორთქიფანიძე.

(საქინფორმი).

• • •

სურათზე: გამოდის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლი.

ბონდო დვალიშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როცა ასი წელი სიჭაბუკის ხანაა

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“ — გალაკტიონის უკვდავმა სტრიქონებმა თავად გაგვახსენეს თავი ფილარმონიის დიდ საყოველთაო დარბაზში გამართულ საიუბილეო საღამოზე, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის 100 წლისთავს რომ მიეძღვნა. ქართველი კაცის დიდება და სიამაყეა თავანკარა სიმღერა და ცეკვა-ლხინი ცეკვა, რომლებმაც საუკუნეების გამოცდას გაუძლეს და ჩვენამდე მოიტანეს წინაპრების ნასაუთოვები ჰანგი და ჰარმონია. დღეს ჩვენი თანამედროვენი ღირსეულად ამაყობენ ამ უმდიდრესი და უნიკალური მემკვიდრეობით, სულიერი განძით, რომელიც აოცებს მილიონობით მსმენელსა და მაყურებელს, და, ასე განსინჯეთ, მრავალ სოლისტსა და მხატვრულ კოლექტივს შორეულ უცხოეთში გაუჩინა სურვილი თავად გამხდარიყო ამ უმშვენიერესი ნიმუშების შემსრულებელი.

საიუბილეო საღამოს შთამბეჭდავი პროლოგი იყო უცხოეთის კოლექტივების გამოსვლა, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკის პირველი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი არიან.

ძნელი იყო აუღელვებლად მოგესმინათ ბასკური ანსამბლის „კორო ეასოს“ მომღერალთა გუნდისათვის, როცა ბასკებმა რევაზ ლაღიძის სიმღერა „ნემო კარგო ქვეყანა“ დაგვგუგუნეს, ყველა მაყურებელი ფეხზე ადგარი უსმენდა დიდი ილიას უკვდავ სტრიქონებზე შექმნილ ამ უმშვენიერეს მელოდიას, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰიმნად რომ იქცა. ასე მიესალმნენ ჩვენი შორეული ნათესავები ესპანეთიდან ქართველ კოლეგებს. შემდეგ ბასკები ისრაელის ფოლკლორულმა ჯგუფმა „კოლახმა“ შეცვალა. ქართულ ქულჯებში გამოწყობილმა ებრაელმა მომღერლებმა ოსტატურად შეასრულეს მეგრული ხალხური სიმღერა. და აი, კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი: სცენაზე ავიდნენ მიჩიგანის შტატის ქალაქ მინეაპოლისის „ქართული ანსამბლის“ წევრები. ამერიკელებმა იუბილარს ორი ქართული ხალხური სიმღერა მიუძღვნეს და ამით გამოხატეს დიდი სიყვარული ჩვენი კულტურისადმი.

ქართველ მეგობრებს ეკრანიდან მიესალმნენ იაპონური ანსამბლის „იამანი როგუმის“ მომღერლები, რომლებმაც პირველებმა შეიტანეს თავიანთ რეპერტუარში ქართული ხალხური სიმღერა და ახლა მთელ მსოფლიოს აცობენ...

საკონცერტო დარბაზის თაღებქვეშ აყოერდა განუმეორებელი „მრავალჟამიერი“, ომახიანი „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, რომელსაც მღეროდნენ იაპონელები, და ეს სიმღერები აღიქმებოდა როგორც ჰიმნი ამ მელოდიების შემქმნელი ხალხის უკვდავებისა, დასტური მისი ხალასი ნიჭისა.

შემდეგ სცენა დაეთმო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლს, ასი წლის იუბილარს, რომლის ხელოვნებამ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები. კოლექტივის წარმატება დამსახურებულად გაიზიარეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ჯემალ ჭკუასელმა, მთავარმა ქორეოგრაფმა, საქართველოს სახალხო არტისტმა რევაზ ჭოხონელიძემ, ანსამბლის მხატვარმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა მერაბ ბერძენიშვილმა.

ანსამბლის სოლისტებმა საქართველოს ყველა კუთხის მელოდიები და ცეკვები ერთ მთლიან თაიგულად შეკრეს და ამ უმშვენიერესი საიუბილეო საღამოს მონაწილედ გვაქციეს. კოლექტივის ყველა სოლისტმა მაღალი და დახვეწილი ოსტატობა გვიჩვენა.

ასი წელი სიჭაბუკის ხანაა. ეს ნათელყო იუბილარმა, რომელიც შემოქმედებითს აღზევებაშია და ახალ წარმატებებს გვპირდება.

საღამომ საოცარი ამაღლების, განწმენდის, სიდიადის ამაღელვებელი წუთები განგვაცდევინა. და არ არსებობდა ქვეყნად ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ გრძნობების დაჩრდილვა. ალბათ, ეს უდიდესი ძალა ქმნის ქართული ხალხური მუსიკის ფენომენს, რომელსაც დაბერება არ უწერია და საუკუნეებში იოცცხლებს.

მერი გაბრიაძე,
საქინფორმის კორესპონდენტი.

პროექტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა გაწვევის წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც საბჭოთა დემოკრატიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება უზრუნველყოფს, რომ დეპუტატი მართლაც კონტროლს დაექვემდებარებული და პასუხისმგებელი იყოს ამომრჩევლების ან მისი ამომრჩეველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე.

მუხლი 1. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საფუძვლები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, რომელიც ვერ გამამართლებს ამომრჩევლების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნდობას, რაც გამოიხატება დეპუტატის მოვალეობათა შეუსრულებლობით ან სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კანონების დარღვევით, შეიძლება გაწვეულ იქნეს ამომრჩევლების ან მისი ამომრჩეველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 2. წინადადება ტერიტორიული ან ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ

ტერიტორიული ან ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ წინადადება შეიძლება წამოაყენონ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების კრებებმა (კონფერენციებმა), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებმა.

ტერიტორიული საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა გაწვევის შესახებ წინადადება შეტანილ უნდა იქნეს ამ ოლქის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება უზრუნველყოფს, რომ დეპუტატი მართლაც კონტროლს დაექვემდებარებული და პასუხისმგებელი იყოს ამომრჩევლების ან მისი ამომრჩეველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 2. წინადადება ტერიტორიული ან ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ

ტერიტორიული ან ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ წინადადება შეიძლება შეიტანოს ქალაქის რაიონულმა, საქალაქო, რაიონულმა, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურმა არჩევითმა ორგანომ შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქალაქო, რაიონულმა, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურმა არჩევითმა ორგანოებმა.

საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ წინადადება ზემდგომ არჩევით ორგანოში უნდა შეიტანოს შესაბამისმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

თუ გაწვევის შესახებ წინადადება დასაბუთებულია, საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკავშირო არჩევითი ორგანო გაწვევის შესახებ წინადადების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ.

მუხლი 3. წინადადება საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ

საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ წინადადება შეიძლება შეიტანოს ქალაქის რაიონულმა, საქალაქო, რაიონულმა, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურმა არჩევითმა ორგანომ შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქალაქო, რაიონულმა, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურმა არჩევითმა ორგანოებმა.

საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ წინადადებას ზემდგომ არჩევით ორგანოში უნდა შეიტანოს შესაბამისმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

თუ გაწვევის შესახებ წინადადება დასაბუთებულია, საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკავშირო არჩევითი ორგანო გაწვევის შესახებ წინადადების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ.

მუხლი 4. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის უფლებათა გარანტიები მისი გაწვევის შესახებ წინადადების განხილვის დროს

საოლქო საარჩევნო კომისია, საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩევნების კომისია გაწვევის შესახებ მიღებული წინადადების, აგრეთვე მისი განხილვის წესის შესახებ ატყობინებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს უფლება აქვს საოლქო საარჩევნო კომისიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიაში წარადგინოს წერილობითი განცხადება, აგრეთვე გამოვიდეს ამომრჩეველთა კრებებზე (კონფერენციებზე), პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი იმ გარემოებათა თაობაზე, რომელიც საფუძველად დაედო გაწვევის შესახებ წინადადებას.

თუ გარემოებანი, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ წინადადების შეტანის საფუძველი გახდა, სასამართლო გარჩევის საგანია, სასამართლოს მიერ მის გამო სამოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი სპეციალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის არჩევითი ორგანო ან საარჩევნო კომისია შეიარჩევენ გაწვევის შესახებ წინადადების განხილვას.

მოქალაქეებს, რომლებმაც წარადგინეს აშკარად მცდარი ინფორმაცია, რომელიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხის დაყენების საბაბი გახდა, იკისრებთ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრა

ტერიტორიული ან ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საკითხი უფლებას აქვს გადაწყვიტოს საარჩევნო ოლქის კონფერენციამ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საკითხი უფლება აქვს გადაწყვიტოს ყრილობამ, შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის კონფერენციამ ან მისი საერთო-საკავშირო ორგანოს პლენუმმა.

ოლქის ამომრჩეველთა კონფერენცია ეწყობა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით და ყალიბდება მის მიერ დადგენილი ნორმებით საარჩევნო ოლქში შემავალ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩეველთა რიცხოვნობის გათვალისწინებით. კონფერენციაზე ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლებს დელეგატებად ირჩევენ შრომითი კოლექტივების კრებები (კონფერენციები), საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები, ამომრჩეველთა კრებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და სამხედრო მოსამსახურეები ჯარის ნაწილებში ღია ან ფარული კენჭისყრით.

ოლქის ამომრჩეველთა კონფერენცია უფლებამოსილია, თუ არის მასზე დელეგატებად გაგზავნილ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ორი მესამედი, და უფლება აქვს მხარი დაუჭიროს გაწვევის შესახებ წინადადებას ან უარი თქვას მის მხარდაჭერაზე. კონფერენციის გადაწყვეტილება მიიღება კონფერენციის დელეგატთა საერთო რიცხვის ხმების უმრავლესობით ფარული კენჭისყრით. ოლქის ამომრჩეველთა კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 6. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხის გამო კენჭისყრის დანიშვნა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებას 5 დღის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისია ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩევნების საარჩევნო კომისია უგზავნის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც 30 დღის ვადაში ამოწმებს გაწვევის აღძვრის წესის დაცვას და ნიშნავს კენჭისყრას გაწვევის შესახებ საკითხის გამო.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საკითხის გამო კენჭისყრის თარიღი უნდა განსაზღვროს არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 110 დღის განმავლობაში გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრის მომენტიდან.

მუხლი 7. აგიტაცია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის მხარდასაჭერად ან წინააღმდეგ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების - ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მოწყობის თარიღის დანიშვნის შემდეგ ამომრჩეველების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარანტირებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების თავისუფალი და ყოველმხრივ განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე ეძლევათ უფლება დაუბრკოლებლად გასწონონ აგიტაცია დეპუტატის გაწვევის მხარდასაჭერად ან წინააღმდეგ ამომრჩეველთა კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, რომლის მიმართ აღძრულია გაწვევის საკითხი, აგრეთვე მის ნდობით აღჭურვილ პირებს ეძლევათ უფლება გასწონონ თავისუფალი აგიტაცია ამომრჩეველთა კრებებზე (კონფერენციებზე), აგრეთვე გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

აგიტაცია დეპუტატის გაწვევის გამო კენჭისყრის დღეს არ დაიშვება.

მუხლი 8. კომისიები და უბნები კენჭისყრის მოსაწყობად, ამომრჩეველთა და ხმის მიმცემთა სიები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევისათვის მუშაობის ორგანიზაცია ეკისრება საოლქო საარჩევნო კომისიას ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩევნების საარჩევნო კომისიას უგზავნის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც 30 დღის ვადაში ამოწმებს გაწვევის აღძვრის წესის დაცვას და ნიშნავს კენჭისყრას გაწვევის შესახებ საკითხის გამო.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საკითხის გამო კენჭისყრის თარიღი უნდა განსაზღვროს არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 110 დღის განმავლობაში გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრის მომენტიდან.

მუხლი 7. აგიტაცია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის მხარდასაჭერად ან წინააღმდეგ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების - ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მოწყობის თარიღის დანიშვნის შემდეგ ამომრჩეველების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარანტირებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების თავისუფალი და ყოველმხრივ განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე ეძლევათ უფლება დაუბრკოლებლად გასწონონ აგიტაცია დეპუტატის გაწვევის მხარდასაჭერად ან წინააღმდეგ ამომრჩეველთა კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, რომლის მიმართ აღძრულია გაწვევის საკითხი, აგრეთვე მის ნდობით აღჭურვილ პირებს ეძლევათ უფლება გასწონონ თავისუფალი აგიტაცია ამომრჩეველთა კრებებზე (კონფერენციებზე), აგრეთვე გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

აგიტაცია დეპუტატის გაწვევის გამო კენჭისყრის დღეს არ დაიშვება.

მუხლი 8. კომისიები და უბნები კენჭისყრის მოსაწყობად, ამომრჩეველთა და ხმის მიმცემთა სიები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევისათვის მუშაობის ორგანიზაცია ეკისრება საოლქო საარჩევნო კომისიას ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩევნების საარჩევნო კომისიას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხის გამო კენჭისყრის მოწყობის ორგანიზაციისათვის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში კენჭისყრამდე არა უგვიანეს 35 დღის განმავლობაში იქმნება კენჭისყრის უბნები და არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში იქმნება საუბნო კომისიები.

გაწვევის შესახებ კენჭისყრის მოსაწყობად კომისიების შექმნა და საქმიანობა, კენჭისყრის უბნების შექმნა, ამომრჩეველთა და იმ პირთა სიების შედგენა, რომლებიც ხმას აძლევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, ხორციელდება „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 9. კენჭისყრის ბიულეტენები

გაწვევის შესახებ საკითხის გამო კენჭისყრის ბიულეტენში აღინიშნება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მის მიერ დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), მისი მუშაობისა და საცხოვრებელი ადგილი.

გაწვევის შესახებ კენჭისყრის ბიულეტენი იბეჭდება იმ ენებზე, რომლებსაც იყენებენ შესაბამისი ოლქის ამომრჩევლები.

მუხლი 10. კენჭისყრა და მისი შედეგების დადგენა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საკითხის გამო კენჭისყრა ფარულია. იგი ეწყობა „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

კენჭისყრისას ამომრჩეველი ბიულეტენში ტოვებს დეპუტატის გვარს, თუ ხმას აძლევს მის უფლებამოსილებათა შეწყვეტას, ან შლის მას, თუ ხმას აძლევს დეპუტატის გაწვევას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ მის გაწვევას ხმა მისცა ამომრჩეველთა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობების, კონფერენციების დელეგატთა ანდა კენჭისყრის სიებში შეტანილ მათი საერთო-საკავშირო ორგანოების პლენუმების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

გაწვევა ითვლება უარყოფითად, თუ გაწვევას ხმა მისცა ამომრჩეველთა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობების, კონფერენციების ანდა კენჭისყრის სიებში შეტანილ მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლენუმების მონაწილეთა ნახევარზე ნაკლებმა, აგრეთვე თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა, კენჭისყრის სიებში შეტანილ იმ პირთა ნახევარზე ნაკლებმა, რომლებმაც ხმა მისცეს საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან.

თუ გაწვევის მხარდასაჭერად და გაწვევის წინააღმდეგ მიცემული ხმები თანაბარია, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას.

საოლქო საარჩევნო კომისიას, საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩევნების კომისიას შეუძლიათ კენჭისყრის შედეგები მათივლად ცნონ დაშვებულ კანონის დარღვევათა გამო.

კენჭისყრის შედეგებს ადგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩევნების კომისიის სხდომაზე, შეაქვთ ოქმში და უგზავნიან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ცენტრალური საარჩევნო კომისია მასთან შემოსული საოლქო საარჩევნო კომისიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან არჩევნების კომისიის ოქმის საფუძველზე რეგისტრაციაში ატარებს კენჭისყრის შედეგებს, ხოლო კანონის დარღვევის დადგენის და კენჭისყრის შედეგების მათივლად ცნობის შემთხვევაში ნიშნავს განმეორებით კენჭისყრას, რომელიც ეწყობა არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 11. კენჭისყრის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის საკითხის გამო კენჭისყრის მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაბამისი კომისიების განკარგულებაში გადასცემენ კენჭისყრის მომზადებისა და მოწყობისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, რომლის მიმართ აღძრულია გაწვევის საკითხი, აგრეთვე მისი ნდობით აღჭურვილი პირები ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის დროს მათი განცხადებების საფუძველზე თავისუფლდებიან სამუშაოდან და უნაზღაურდებთ ხარჯები სახელმწიფოს ხარჯზე.

მუხლი 12. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ კანონის დარღვევათა განხილვა

ამ კანონის დარღვევათა გამო განცხადებებსა და საჩივრებს განიხილავს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია და გამოაქვს მათ გამო საბოლოო გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ კანონის პროექტის გამოქვეყნების თაობაზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად მოქალაქეები, საწარმოთა კოლექტივები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კანონის პროექტის გამო თავიანთ წინადადებებსა და შენიშვნებს უგზავნიან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების პრეზიდიუმებს ან გაზეთების, ჟურნალების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის redაქციებს.

გამოქვეყნებული კანონის პროექტის გამო წინადადებებისა და შენიშვნების შინაარსის შესახებ განზოგადებულ მონაცემებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ცენტრალური ორგანოები წარადგენენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტს.

განვიხილავთ საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტს

უფრო სრულყოფილი რომ იყოს

პროექტის მნიშვნელობისა და მისი დადებითი მხარეების შესახებ უკვე საკმაოდ ითქვა და დაიწერა კიდეც. ამიტომ, შევეცდები პირადპირ ყოველგვარი შესავლის გარეშე იმ შენიშვნებსა და მოსაზრებებზე გადავიდე, რომელთა გათვალისწინება, ალბათ, უფრო სრულყოფილს გახდის ზემოაღნიშნულ დოკუმენტს.

ჩემი აზრით, მეტ დაზუსტებას და დაკონკრეტებას მოითხოვს პროგრამის მეექვსე პუნქტის მეორე აბზაცი. აი, რა არის აღნიშნული მასში:

„პარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის ფარგლებში, დამოუკიდებლად გაუძღვება თავის ყველა საშინაო საქმეს, არ დაუშვებს სუვერენული უფლებების, მათ შორის მასში შემავალი ავტონომიური ფორმირებების ინტერესების შელახვას, უარყოფს ნებისმიერ გარეშე ძალის ჩარევას საშინაო ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგებაში“. ალბათ, ბოლოს უნდა დამეთანხმოს იმაში, რომ აღნიშნულ ფორმულირებას განხორციელება უწერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდება. დიახ კი, როდესაც საბჭოთა კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკათა ბევრი უმეტესწილად ცენტრზეა დამოკიდებული და კანონის უზენაესობა ხშირ შემთხვევაში არც თუ იშვიათად ილანძება, ისეთი კატეგორიული განცხადების გაკეთება რესპუბლიკის კომპარტიის მიერ, როგორც ზემოთ მოყვანილ ტექსტშია ჩამოყალიბებული, ალბათ, არარეალურია (გავიხსენოთ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, სომხეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიის რესპუბლიკებში და ქვეყნის უკიდეგანო ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში ცენტრის ინიციატივით ჯარების შეყვანა და იქ დატრიალებული ტრაგედიები).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა მეორე თავის მეშვიდე, მესამე თავის მეცხრე და მეთხუთე თავის მეთორმეტე პუნქტებში საუბარია პარტიული კრების, პარტიის რეგიონალური და ცენტრალური კომიტეტების პლენარული სხდომების ჩატარების ვადებზე.

პირველ ორ პუნქტში ნათქვამია, რომ პარტიული კრება და რეგიონალური კომიტეტის პლენარული სხდომა იმართება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო მესამე პუნქტში, ე. ი. მეთხუთე თავის მეთორმეტე პუნქტში კი აღნიშნულია, რომ ცენტრალური კომიტეტის სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით (იქვე თვეში ერთხელ მაინც). ჩვენი აზრით, ეს ბოლო პუნქტი უფრო სწორად არის ჩამოყალიბებული, ვიდრე პირველი ორი, ვინაიდან სიტყვა „მაგრამ“, რომელიც ამ პუნქტებშია ნახმარი, გამოყენებულია როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობის წინადადებების დამაპირისპირებელი (ნაწილაკ „მაგრამ“-ის ფუნქციაც ხომ ეს არის), რაც არასწორად მიგვაჩნია.

ასევე რომ არ იყოს, სამთავე პუნქტში ჩამოყალიბებული ფორმულირებათა შინაარსი ხომ ძირითადად ერთ საკითხს, კერძოდ, პარტიული კრებისა და პლენარული სხდომების ჩატარების ვადებს ეხება და რატომ უნდა იყოს მათი გამოსახვის ფორმა განსხვავებული და არა იდენტური?

დებულების მესამე თავის მეორე პუნქტში საუბარი ეხება რეგიონში (საგანგებო) კონფერენციის მოწვევას და აღნიშნულია, რომ იგი მოიწვევა რეგიონალური კომიტეტის ინიციატივით ან რეგიონის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოთხოვნით, რომელიც აერთიანებენ პარტიის წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ერთ მესამედს. აქვე მითითებულია, რომ რეგიონში (საგანგებო) კონფერენციის მოწვევა ხდება 2 თვის ვადაში.

ამავე თავის მესამე პუნქტში კი აღნიშნულია, რომ თუ პარტიის რეგიონალური კომიტეტი არ მოიწვევს რეგიონში (საგანგებო) კონფერენციას, მეორე პარაგრაფში მითითებულ ვადებში, მაშინ ორგანიზაციებს, რომლებმაც მოითხოვეს რეგიონში (საგანგებო) კონფერენციის ჩატარება, უფლება აქვთ შექმნან საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ევნება რეგიონალური კომიტეტის უფლებამოსილებანი რეგიონში (საგანგებო) კონფერენციის მოწვევისათვის.

ჩვენი აზრით, ყოველად გაურკვეველია ფრაზა — „თუ პარტიის რეგიონალური კომიტეტი არ მოიწვევს რეგიონში (საგანგებო) კონფერენციას...“ როგორ თუ არ მოიწვევს, საინტერესოა, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ვთქვათ და შეიდგა ასეთი კონფერენციის დღის წესრიგი, გამოქვეყნდა იგი პრესაში, ყველა კომუნისტმა იცის და გრძნობს, რომ კონფერენციაზე განსახილველი საკითხის მნიშვნელობა განსაკუთრებულია და ყოველივე ამის შემდეგ ეკვის ქვეშ უნდა დადგეს მისი მოწვევის აუცილებლობა?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მიერ ნახსენებ მეორე პუნქტში. ჩამოყალიბებული დებულება ხომ საწესდებო მოთხოვნაა და მისი უგულებელყოფა არა მარტო რეგიონალურ კომიტეტს, არამედ მის ზემდგომ ინსტანციასაც არ უნდა შეეძლოს. ერთი სიტყვით, მესამე პუნქტი აშკარად ზედმეტია და იგი სრულად უნდა იქნას ამოღებული.

დებულების მე-2 თავის მე-7 პუნქტის ფრაზა — „კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი — ემთხვევა მე-5 თავის მე-3 პუნქტის დასაწყის ფრაზას — პარტიული კრება, პარტიული კონფერენცია და პარტიის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის წევრთა (დელეგატთა) ნახევარზე მეტი. ჩვენი აზრით, სიტყვათა შეთანხმება „კრება უფლებამოსილია“ უნდა დარჩეს ან ერთ ან მეორე პუნქტში, ვინაიდან ხდება გამეორება.

როგორც ცნობილია, პარტიის წევრობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა პარტიული შესატანის გადახდაა. იცვლებოდა პარტიის წევრობისათვის საჭირო რიგი კომპონენტები, მაგრამ პარტიის წევრის მიერ საწევროს გადახდა ყოველთვის უცვლელად რჩებოდა. უცვლელი დარჩა ზემოაღნიშნული დებულება რესპუბლიკის კომუნისტთა სამსჯავროზე გამოტანილ საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამაშია და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტის იმ პუნქტშიც, სადაც საუბარია პარტიის წევრებს ეხება. და აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ გასაკვირი და საოცარი ის არის, რომ პროექტის სულ ბოლო, მეექვსე თავის მეორე პუნქტის შენიშვნაში სრულიად განსხვავებული მოსაზრებაა განვითარებული. აი, რას ეკითხულობთ ამ შენიშვნაში: „ადგილობრივი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით საწევრო შესატანი შეიძლება გადახდილ იქნას სამ თვეში ერთხელ. გამონაკლის შემთხვევაში ადგილობრივ ორგანიზაციებს თავიანთი გადაწყვეტილებით შეუძლიათ ცალკეული პირები (პენსიონერები, ინვალიდები, სტუდენტები, მრავალშვილიანები და სხვა) საწევრო გადასახადებისაგან, ან შეუმცირონ ის“.

ცნობილია, რომ ყველაფერი იცვლება და მარადიული ამ ქვეყნად არაფერია. ამდენად საკვირველია ის შეღავათები, რომლებიც ზემოთ მოყვანილ შენიშვნაშია ჩამოყალიბებული გარკვეული კატეგორიის პარტიის წევრთა მიმართ. მაგრამ, გასაკვირი ის არის, რომ აღნიშნული ფორმულირება აშკარად ეწინააღმდეგება პროექტის იმ პუნქტს, სადაც გარკვევით და ყველასათვის გასაგებად, შავით თეთრზე წერია, რომ პარტიის წევრობისათვის აუცილებელია საწევრო შესატანის გადახდა.

ამავე პუნქტში ერთი საკითხიც მოითხოვს დაზუსტებას. პუნქტის პირველი წინადადება ასეა ფორმულირებული: საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული საარჩევნო ხმის მქონე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე... რა გამოდის აქედან? გამოდის ის, რომ პარტიის წევრად მიღების უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ 18 წლის ახალგაზრდას, ხოლო სხვა ასაკის მქონე მოქალაქეს ეს უფლება ჩამორთმეული ჰქონია.

დასასრული მინდა იმ შენიშვნით დავამთავრო, რითაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ სკკ წესდების პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ერთი სტატია მთავრდებოდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ მზადდება და ალბათ სულ მალე გამოქვეყნდება კანონი პარტიების შესახებ. ამ კანონის გამოსვლის შემდეგ ზემოაღნიშნული დოკუმენტი რესპუბლიკაში ამჟამად არსებული ერთადერთი მმართველი პარტიის პროგრამიდან და დებულებიდან გადაიქცევა ერთ-ერთი პარტიის პროგრამად და დებულებად. ამის შესაბამისად იმ თაებმა და პუნქტებმა, რომლებსაც ამჟამად ასე კრიტიკულად ვიხილავთ შესაძლოა მომავალში დიდი ცვლილებები განიცადოს და ჩვენც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომზადებული შევხვდეთ ამ პროცესს.

ანზორ გვენეტაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პოლიტიკურ ურთიერთობათა კვლევის სექტორის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



მოიჯარის ზაფხული

ფართოდ გავრცელდა საიჯარო ნარდი მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე ერთ-ერთი პირველი გადავიდა №1 ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი ნუგზარ ბაქრაძე ხელმძღვანელობს. მევენახეებთან ნანი სვანიძესთან, ფოთოლა მამისაშვილთან, ნორა ბაქრაძესთან, მექანიზატორებთან ნოდარ ხურციძესთან, ზურაბ სვანიძესთან და რაფდენ ჯანელიძესთან ერთად მან იჯარით აიღო 40 ჰექტარი ვენახი. ყოველ ჰექტარზე მოიჯარეები ვარაუდობენ წლევანდელ შემოდგომაზე საშუალოდ მიიღონ 60 ცენტნერი განთქმული ქართული ყურძნის „ცოლიკაურის“ მოსავალი.

ახლა მიმდინარეობს ვენახების შაბიამნით შეწამვლა.

სურათებზე: საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი ნუგზარ ბაქრაძე დავალებას აძლევს მექანიზატორ ნოდარ ხურციძეს; ვენახის შეწამვლა.

გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ქმედითობა

„ამდენი კითხვის ნიშანი?“

„კომუნისტი“, 1989 წლის 16 ნოემბერი

„კომუნისტის“ გამოსვლას უპასუხებს პროფკავშირთა კურორტების მართვის აპარატის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯაში.

სტატიაში სწორად არის აღნიშნული ის პრობლემები, რომლებიც აფერხებენ კურორტის შემდგომ განვითარებას. საგულისხმოა ისიც, რომ ჯერ კიდევ ფუნქციონირებს ადრინდელი, პრიმიტიული ნაგებობები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. შენდება ახალი ნაგებობები, ახლდება ძველი, მაგრამ ყველაფერი ეს დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აპარატს კურორტთა მართვის საბჭოში გაერთიანებული ჯანმრთელობის კერები უკეთ რომ ფუნქციონირებდეს, საჭიროა მთელი რიგი რთული საკითხების გადაწყვეტა, უმთავრესად ისეთებისა, რომლებიც ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ჩვენს განკარგულებაშია ზღვისპირეთში გახლდგებული 15 ჯანმრთელობის კერა და რამდენიმე სანატორიუმ პოლიკლინიკა. ბოლო წლებში ჯანმრთელობის კერების გასაფართოებლად და კაპიტალურად გადასაკეთებლად ბევრი რამ გაკეთდა. კეთილმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიცია

ჭეშმარიტი პარლამენტური გზით

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესია, რომელიც დღეს, 20 ივნისს, იწყებს მუშაობას, უდიდეს პოლიტიკურ მოვლენად უნდა ვალიაროთ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. საკმარისია კაცმა უბრალოდ თვალი გადაავლოს სესიის დღის წესრიგში შეტანილ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ სესია ნამდვილად იქნება ახალი ეტაპი, წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რთულსა და ეკლიან გზაზე.

სულ სესიის დღის წესრიგში რვა საკითხი დგას. ყველა საკითხს დეპუტატები, ეჭვი არ არის, გულდასმით განიხილავენ, რის შედეგადაც სესია მიიღებს შესაბამის დადგენილებებსა და კანონებს, რომლებიც მძლავრ ბიძგს მისცემენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, განამტკიცებენ მართლწესრიგს.

დღის წესრიგის მე-4 საკითხად შეტანილია საარჩევნო კანონ-პროექტის განხილვა. მომავალი არჩევნების საკითხი ბევრს აღელვებს ჩვენში, რის გამოც ახლა პრესის ფურცლებზე თუ ზეპირ გამოსვლებში აზრთა დიდი შეხლა-შემოხლაა. ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთა უნდობლობას უცხადებს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, როგორც ანტიდემოკრატიულ და ანტიეროვნულ სტრუქტურულ ერთეულს.

მათი აზრით, დღევანდელი უზენაესი საბჭო არის მემკვიდრე იმ ძალმომრეობითი და დამსჯელობლური აქტისა, რომელიც საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა. ასე რომ, უზენაესი საბჭო გახლავთ უსამართლობის შედეგად შექმნილი ორგანო და ამიტომ მისი ხელახლა არჩევა ნიშნავს უსამართლო ორგანოს აღიარებას ჩვენს მიერო.

მე ვფიქრობ, ეს მოსაზრება მიუღებელია ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებაში. რადიკალების მსჯელობა მისაღები და დამაჯერებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ მარტოოდენ ფორმალური ლოგიკის წესებს დავეყრდნობით, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალიზმის გრძნობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე სავსებით ვეთანხმები პროფესორ ლ. ალექსიძეს, რომელიც წერს, რომ „ამდენად არსებული ხელისუფლება საქართველოში, მიუხედავად მისი ჩამოყალიბების საწყისების ხასიათისა, რეალურად მოქმედი პოლიტიკური მექანიზმია, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელია..." („კომუნისტი", 13.6.90).

შევეხოთ საკითხის ისტორიას. ცნობილია, რომ ი. სტალინი მომხრე იყო „ავტონომიზაციის" პრინციპისა. მაგრამ ვ. ლენინის იდეის თანახმად შეიქმნა საბჭოთა კავშირი, ესე იგი თანაბარუფლებიანი, სუვერენული რესპუბლიკები გაერთიანდნენ ერთ ფედერაციულ საკავშირო სახელმწიფოდ. იურიდიულად თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას თავიდანვე მიეცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს თითქმის ყველა ატრიბუტი (რასაკვირველია, ზოგიერთის გამოკლებით). აქ ერთი საინტერესო საკითხი უნდა დაისვას. რა იყო ის ძირითადი მექანიზმი, რომელმაც ეს რესპუბლიკები სამოცდაათი წლის განმავლობაში ისე შეადუღაბა ერთმანეთთან, რომ არც ერთი სეპარატისტულ მიდრეკილებას არ ამეღავნებდა? რამ შექმნა ის უკიდურესი ცენტრალიზმი, რომელმაც ფედერაცია არსებითად უნიტარულ სახელმწიფოდ აქცია? იქნებ ეს უზენაესი საბჭოს სტრუქტურის შედეგია? არავითარ შემთხვევაში! აქაც ი. სტალინმა უდიდესი გამჭრიახობა გამოიჩინა და მონახა ისეთი გზა, რომლითაც მან ფედერაცია არსებითად უნიტარულ სახელმწიფოდ აქცია. ეს იყო ყველაზე მზაკვრული ხერხი და გამოიხატა იმით, რომ მან რეალური ხელისუფლება უზენაესი საბჭოდან პარტიაში გადაიტანა. პარტია კარნახობდა უზენაეს საბჭოს თავის ნებას, ხოლო ვინაიდან პარტია ერთიანი და უკიდურესად ცენტრალიზებული იყო, უზენაეს საბჭოშიც მივიღეთ ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაცია.

ამიტომ თუკი ჩვენ ერთი პარტიის ფეიქტატს მოვხსნით და მრავალპარტიულ სისტემაზე გადავალთ, რაც უკვე ხორციელდება კიდეც, მაშინ საქართველო ცენტრიც იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს. დღესდღეობით რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ერთადერთი ორგანოა, რომელიც მეტ-ნაკლებად მაინც წარმატებით უძღვება ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას, იქიდანაც ჩანს, რომ წარსულში მომხდარი ისტორიული უსამართლობების დაგმობა იურიდიულად მხოლოდ მისი მეშვეობით მოხერხდა. ამ სესიაზეც ხომ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია გამოტანილი განსახილველად. თუკი უზენაესი საბჭო უსამართლო და მიუღებელი სტრუქტურული წარმონაქმნია, მაშინ, საკითხავია, როგორღა ხერხდება იქ ამ მნიშვნელოვანი საკითხების დადებითად გადაწყვეტა?!.

რასაკვირველია, მე ამით არ მინდა ვთქვა, თითქოს უზენაეს საბჭოს ჩვენ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის დროსაც შევინარჩუნებთ. დრო თავისას მოიტანს და ჩვენც მოვნახავთ ახალ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს, მაგრამ, ვფიქრობთ, ჯერჯერობით არ ღირს ენერგიის ფუჭი ხარჯვა ახალი სტრუქტურების ხელოვნურად შექმნისათვის.

საყურადღებოდ მიმაჩნია მეორე ისტორიული პარალელიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩვენ ვაცხადებთ ძალმომრეობის აქტად, რომელმაც უსამართლოდ გააუქმა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურები, მათ შორის — დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს პარლამენტი თავისი შინაარსით როდი იყო ეროვნული მიმართულების. ბევრი შეიძლება არც კი უფიქრდება იმას, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა, მართალია, დანაშაული ჩაიდინა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ მაშინდელი საქართველო ხომ არსებითად სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) იყო. ასე რომ, ჩვენ ახლა უმცირესი ბოროტების გზით მივდივართ, ვესარჩლებით მენშევიკურ საქართველოს პარლამენტს ბოლშევიკური უზენაესი საბჭოს საწინააღმდეგოდ. ორივე ეს მმართველება კი ერთად აღებული სოციალ-დემოკრატიას წარმოადგენს, რომელიც მთლიანობაში მიუღებელი უნდა იყოს. დღევანდელი ეროვნული მოძრაობისათვის, ჩვენ რომ ლოგიკური და არსებითადაც სწორი ვიყოთ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა რუსეთის მიერ 1801 წლის საქართველოს ანექსიის აქტის დაგმობით უნდა დაგვეწყო.

ამიტომ, როცა ჩვენ ბოლშევიკურ ძალმომრეობაზე ვლაპარაკობთ, უწინარესად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს გამოსარჩლებამ არ უნდა გამოიწვიოს ჩვენში სოციალ-დემოკრატიული აზროვნების პოპულარიზაცია. მეორეც ის, რომ თუკი ჩვენ ვესარჩლებით სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტს და მის გაუქმებას დანაშაულად ვთვლით, ამით ვაღიარებთ ამ ორგანოს თუნდაც დროებით სარგებლიანობას. მაშასადამე, ეჭვი არ არის, მენშევიკური პარლამენტი შეიძლებოდა დროებით მაინც გამოყენებულიყო დამოუკიდებელი საქართველოსათვის. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ შეიძლება ასევე დროებით გამოვიყენოთ ამჟამად მოქმედი უზენაესი საბჭო საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე?

ვფიქრობ, საკითხი ნათელი უნდა იყოს. ერთადერთი ორგანო, რომლის არჩევნებსაც ქართველმა ხალხმა უახლოეს მომავალში უნდა დაუჭიროს მხარი, ეს გახლავთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო.

ოთარ გამყრელიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ღვაწლი

მეცნიერი და ალმფრდელი

ფუნდამენტურ ქიმიურ მოვლენათა მკვლევარებისათვის კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ახალი მეცნიერული შედეგების ტექნოლოგიური ხორცშესხმა. იშვიათად თუ შეძლებს ხომ ერთ ვინმე ხაკვლევი ლაბორატორიიდან ქარხანაში დანერგვამდე გზის გამარჯვებით დაძლევას. ასეთებს მიეკუთვნება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლოტარ ხანანაშვილი.

ქიმიკოს-მეცნიერის, ქართველი ერის დიდი მოჭირნახულის მიხეილ ხანანაშვილის ოჯახში და თბილისის პირველ სკოლაში აღზრდილმა ლოტარ ხანანაშვილმა მოსკოვის დ. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მეცნიერული საქმიანობის ვრცელი გზა განვლო. 1978 წელს იგი—მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის ფაქიზი ქიმიური ტექნოლოგიის კათედრის გამგე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგედ მიიწვიეს. ჯერ კიდევ მოსკოვში მუშაობისას იგი დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა ქართული ქიმიური სამეცნიერო კადრების მომზადებას: იგი მოსკოვში ქართველი ქიმიკოსების — ასპირანტებისა და სტუდენტების იმედი და უფროსი მეგობარი იყო. თბილისის უნივერსიტეტში გადმოსვლის შემდეგ გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი, უნარიანი ახალგაზრდობა და სულ მალე საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად მოგვევლინა. პროფესორმა ლ. ხანანაშვილმა, მისმა სამეცნიერო სკოლამ ღრმა, ნაყოფიერი კვალი დაჰნია მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმიის განვითარებას; მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა მთელი რიგი ახალი კლასის პოლიმერების მიღების შესაძლებლობას მისცა დასაბამი. ამჟამად ხაბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ქიმიურ ქარხნებში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მის მიერ ხინთეზირებულ ელემენტორგანული (განსაკუთრებით კი სილიციუმორგანული) პოლიმერების წარმოება. ლ. ხანანაშვილი ხაბჭოთა კავშირში და ხაზღვარგარეთ გამოქვეყნებულ 350-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, 140 საავტორო მოწმობის და 25 პატენტის ავტორია. სხრკ ქიმიური პროფილის უმაღლესი სკოლების სტუდენტები დიდი ხანია ფართოდ სარგებლობენ მისი თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოთი „პოლიმერთა ტექნოლოგია", რომელიც უკვე რამდენიმეჯერ გამოიცა.

ძნელია უველა იმ წოდებისა და ჯილდოს ჩამოთვლა, რაც ლ. ხანანაშვილმა თავისი ცხოვრების 60 წლის მანძილზე დაიმსახურა: რამდენიმე საერთაშორისო გამოფენის ოქროს მედალი, სხრკ მინისტრთა ხაბჭოს პრემია, „სხრკ გამომგონებლის" ხაპატიო წოდება, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია. თავად მეცნიერი კი ფიქრობს, რომ მისი უველაზე დიდი მიღწევაა ის სამი ათეული მეცნიერებათა კანდიდატი და შვიდი მეცნიერებათა დოქტორი, მისი ხელმძღვანელობით რომ დაიცვეს სამეცნიერო ხარისხები. მისი მაღალკვალიფიური, შინაარსიანი ლექციები, სამეცნიერო ხემინარები ქართველი და მთელი ხაბჭოთა პოლიმერული ქიმიის ახალგაზრდა მკვლევართა აღზრდის ცნობილ ხამჭედლად გადაქცა.

თავმდაბალი, ურთიერთობაში მეტად ტაქტიანი, ჭირსა და ლხინში მხარში მდგომი — ახეთად იცნობენ პროფესორ ლოტარ ხანანაშვილს კოლექტივში, იმ კოლექტივში, რომელმაც ერთხმად წარადგინა იგი საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე.

შ. სიდამონიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

შ. სამსონია,
ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი.

უკსოფოში

საკდესი იუწყება
19 ივნისი

● **ბულგარეთი**

სოციალისტური პარტიის გამარჯვება

სოფია. ბულგარეთის სოციალისტურმა პარტიამ გაიმარჯვა აქ გამართულ დიდი ხახალხო კრების არჩევნებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობის თანახმად, კენჭისყრის ორი ტურის შედეგებით ბულგარეთის სოციალისტურმა პარტიამ ახალ პარლამენტში 211 მანდატი მიიღო 400-დან.

144 დეპუტატის ადგილი მიიღო დემოკრატიული ძალების ოპოზიციურმა პარტიამ. 23 დეპუტატი პარლამენტში წარმოადგენს უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მოძრაობას, რომელიც უმთავრესად ეყრდნობა ქვეყნის მოსახლეობის თურქი და მაჰმადიანი უმცირესობის წარმომადგენლებს. ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირმა, რომელიც ათწლეულების მანძილზე შელის ბულგარეთის კომუნისტურ პარტიასთან მმართველ კოალიციაში, მხოლოდ 16 მანდატი მიიღო. სამამულო კავშირი წარმოდგენილი იქნება ორი დეპუტატით.

● **აშშ**

ბუში მოუნოდებს

ვაშინგტონი. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ი. შამირს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდა ქვეყნის ახლად ჩამოყალიბებულ მემარჯვენე მთავრობას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიან მოწესრიგების გზს დაადგეს.

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მ. ფიცუოტერმა ჟურნალისტების კითხვებზე პასუხისას აღნიშნა, რომ ჯ. ბუში მიესალმა ისრაელის ახალი მთავრობის შექმნას და მხარი დაუჭირა პალესტინელებთან დიალოგს.

პრეზიდენტის წერილი გაიგზავნა იმ მომენტში, როდესაც შეერთებულ შტატებში იზრდება ისრაელის ხელმძღვანელობის კრიტიკა იმის გამო, რომ იგი ვერ იჩენს უნარს დაიწყოს დიალოგი პალესტინის წარმომადგენლებთან. გასულ ოთხშაბათს კონგრესში გამოსვლისას სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა ნთლად მიანიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგებაში შექმნილი ჩიხისთვის პასუხისმგებლობა ისრაელს ეკისრება.

შეთქმულება ნაშუმსკუს წინააღმდეგ?

რუმინეთში მომხდარი ბოლო მოვლენების, სახელმწიფო გადატრიალების ცდების ფონზე მეტად აქტუალურად ჟღერს რუმინულ გაზეთ „რომანია ლიბერეში" გამოქვეყნებული სტატია „მხილება". მისი ავტორი ფ. მერკულესკუ, იშველიებს რა ფრანგული ყოველკვირეულის „პუენის" აზრს, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეროვნული ხსნის ფრონტის ძალაუფლების სათავეში მოსვლა შედეგი იყო შეთქმულებისა, რომელშიც მონაწილეობდნენ ფრონტის ხელმძღვანელები და რომელსაც თითქოს საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს.

„პუენის" მასალა ძირითადად ეფუძნება პირველი რანგის კაპიტნის ნიკოლაე რადუს განცხადებებს (1979 წელს იგი მოხსნეს სამხედრო ხომალდების ესკადრის სარდლობიდან; ხოლო 1987 წელს დაპატიმრეს), რომელთა თანახმადაც, შეთქმულთა ჯგუფში შედიოდნენ გენერლები ნიკოლაე მილიტარუ (რევოლუციის გამარჯვებისთანავე იგი ეროვნული თავდაცვის მინისტრად დანიშნეს), შტეფან კოსტიანელი, იონ იონიცე და ორი სამოქალაქო პირი: უშშრეფნის სამსახურის ახლანდელი ხელმძღვანელი ვირჯილ მეგურიანუ და იონ ილიესკუ, თავდაპირველად უმნიშვნელო როლს რომ ასრულებდა.

80-იანი წლების შუა პეროდამდე ჯგუფის საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. შემდგომში, „პუენის" თქმით, შეთქმულებმა კავშირი დაამყარეს საბჭოთა ხელმძღვანელობასთან, ვინაიდან სახელმწიფო გადატრიალება შეუძლებელი იქნებოდა მოსკოვის მხრივ სათანადო გარანტიების გარეშე.

მანამდე, 1980 წელს, გენერალმა მილიტარუმ ჩამოაყალიბა ეროვნული ხსნის კომიტეტი — ახლანდელი ფრონტის წინამორბედი. ბრაშოვის 1987 წლის აჯანყება განგაშის პირველი სიგნალი აღმოჩნდა მოსკოვისათვის, სადაც მიხვდნენ, რომ მოსალოდნელია ინტუიციის მკვეთრი დესტაბილიზაცია. ამან განაპირობა რუმინეთის კომპარტიის რიგებში დისიდენტების ჯგუფის შექმნა, რომელიც ჩაფიქრებული იყო როგორც პარალელური სტრუქტურა და საბჭოთა კავშირიდან იმართებოდა.

ჯერ კიდევ 1983 წელს „სეკურიტატემ" დაიწყო ხმების გავრცელება, რომ, „თუ ჩაუშესკუს რაიმე შეემთხვა", მის ადგილს ი. ილიესკუ დაიკავებს. ფრანგული ყოველკვირეულის მტკიცებით კი, 1989 წელს საბჭოთა კავშირმა აუწყა საფრანგეთსა და იტალიას, რომ განზრახული აქვს გათავისუფლდეს ჩაუშესკესგან. ეს ინფორმაცია დადასტურდა დასავლეთის დიპლომატიური წყაროებით რუმინეთის კომპარტიის XIV ყრილობის მსვლელობისას.

რევოლუციის დაწყებას ტიმიშოარაში მოხერხებულად დაუჭირეს მხარი უნგრელებმა. ამას დაემატა 16 დეკემბერს ათზე მეტი საბჭოდაგოგიური კოლექტივები და მოსწავლეებიც კარგად გრძნობენ. ვერ ვიტყვი, რომ მათ სკოლებში ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ არც საგანგაშოდ არის საქმე. ერთი კია, საქართველოში სახელმწიფო ენა ქართულია, მაგრამ ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში მაინცადამაინც ვერ არის მაღალ დონეზე. ამაში ძალს გულგრილობასთან ერთად, ჩვენმა უყურადღებობამაც შეასრულა არასახარბიელო როლი (თუმცა ჩვენმა აზერბაიჯანელებმა უმრავლესობამ იცის ქართული) და სკოლებში ქართული ენის სწავლება ვერ დგას სათანადო დონეზე. რა თქმა უნდა, საგნის სწავლების პროგრამა სრულყოფილი არ არის, არც სპეციალური სახელმძღვანელოებია შეცდომებისგან დაზღვეული. სამომავლოდ სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად (ისინი გულწრფელად მონდომებული არიან) ყველაფერს ვიღონებთ, რომ აზერბაიჯანული სკოლები ორი ენის მეგობრობის გამმტკიცების კერებად გადაიქცნენ. ეს თავად მათი სურვილიც არის.

— ჩვენი დიდი წინაპრის შეგონების მიხედვით სწავლის ძირი მარილა მწარეა? დავითის ბრძნული გამონათქვამი ახლა როგორ უნდა გავიგოთ?

— თუ სწავლების ძველ პირობებს ახლანდელს შევადარებთ, შეიძლება ძირი მართლაც მაშინ მწარე იყო, ვიდრე ახლა. მაგრამ ვინც ცოდნის შეძენას გულწრფელად, მთელი სერიოზულობით მოიხდომებს, მისთვის კენწეროში მართლაც გატკბილდება; ანდა რატომაც არ უნდა გატკბილდეს, ნასწავლი კაცი ხომ ცხოვრების სარკეში ორივ თვალით იყურება და მისთვის ყველაფერი დღისავით ნათელია. ვისაც სწავლა უნდა, ძირი დღეს მწარე არ არის, რადგან თავად ცოდნის შეძენას მოწყურებულ ადამიანს სწავლების პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. ასე რომ, ძირი ტკბილია. ჩემი აზრით, სწავლის ძირი ახლა, ჩვენს დროში, იმითთვის არის მწარე, ვისაც ცოდნის შეძენის პროცესი ეძნელება (ატესტატი და დიპლომი კი უნდა), ამიტომ ვამბობთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პროფესიონალიზმია საჭირო. განა აუცილებელია ყველამ უმაღლესი განათლება მიიღოს? ვინც სწავლას მოწყურებულია, ნიჭიც აქვს, ის უნდა სწავლობდეს იმას, რაც აინტერესებს. განათლებული გლეხი — ფერმერი თუ მუშა, ჩვენს ქვეყანას ნაკლებად როდი სჭირდება და ნაკლებად როდია დასაფასებელი?

— კიდევ ერთი შეკითხვა და ამით დავამთავროთ: სკოლა და რელიგია, მშობელი და რელიგია როგორ გესახებათ. სკოლებში უნდა ისწავლებოდეს თუ არა ხალმრთო რჯული?

— რწმენის დაბრუნება ახლა ძალზე რთულ პროცესად მეჩვენება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. მე, მაგალითად, ათეიზმისათვის ბრძოლის პროცესში გავიზარდე, მაგრამ დედაჩემის წყალობით რწმენა არასოდეს დამიკარგავს. ყველა დედა ასე რომ მოქცეულიყო, ჩვენი თაობის უმეტესობა ურწმუნო არ იქნებოდა. რაც შეეხება საღმრთო რჯულის სწავლებას, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება ვასწავლოთ, მაგრამ ვინ უნდა ასწავლოს? ამაზე ფიქრი და ზრუნვა აქედანვეა საჭირო...

ვახტანგ გოგალიშვილი,
„კომუნისტის" ხაკ. კორ.

ფოტოინფორმაცია

პირველად ისტორიაში კაცობრიობას მიეცა საშუალება თითქოს გვერდიდან შეავლოს თვალი მზის სისტემის ექვს პლანეტას. ნასამ (აშშ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის შესწავლის ეროვნულმა სამმართველომ) გაავრცელა კოსმოსური ზონდის „ვოიაჯერ-1"-ის დახმარებით მიღებული უნიკალური ფოტოსურათი, რომელზეც კოსმოსური წყვდიადის უკიდეგანო ოკეანის ფონზე მოჩანს ექვსი თეთრი ლაქა — ასე გამოიყურება 6 მილიარდი კილომეტრის მანძილიდან მზის სისტემის 9-დან 6 პლანეტა. პლანეტების ეს „ოჯახური პორტრეტი" სინამდვილეში 64 ფოტოსურათის კომბინაციაა. როგორც ცნობილია, „ვოიაჯერი" კოსმოსურ ოდისეაში 1977 წლის სექტემბერში გაემგზავრა და მისი ძირითადი მიზანი იყო მზის სისტემის გარე პლანეტების შესწავლა. პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელმა კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან ედვარდ სტოუნმა (სურათზე) პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აპარატი კარგ მდგომარეობაშია და კიდევ 25 წელი უნდა იმუშაოს.

ასოშიეიტედ პრეს-საკდესის ტელეფოტო.

**ეროვნული ფერმერი, ბატონ-პატრონი, ბიზნესმენი, ინტელიგენტი, ბანკირი, ბანკიერ-ბანკიერ-ბანკიერ-

შეიცან თავი შენი

სტატისტიკური მონაცემებით სისხლის სამართლის დანაშაულობათა დიდი ნაწილი სიმთვრალეშია ჩადენილი

ერავალ ქართულ თემულებაში, საკუთარი მიწის სიყვარულთან ერთად, ის აზრიცაა გატარებული, რომ ღვინო საზრდოდ და ზომიერი ლხინისათვის ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და არა ლოთობისა და ღრეობისთვის. ამიტომ, როგორც ხატოვნად იტყვიან ხოლმე, თვით ღმერთმაც კი აპატია ქართველებს „მიწების განწყლებაზე დაგვიანებას“ და მეტიც, ედემის ბაღი არგუნა მათ, თუმცა ამით არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველგვარი დაგვიანება, ზედმეტობა ყოფსსა და ცხოვრებაში გვეპატიება და სიკეთეს მოგვიტანს. ასეა მუდამ, ნამდვილი უზნეობაა ხშირი სიმთვრალე, ლოთობა, დაუსრულებელი ღრეობა, რაც უბედურებისა და გაუკეთილმართებული ცხოვრების სათავეა. ამიტომაც არის, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ მიღებულ დადგენილებებს (შემდგომი შესწორებების გათვალისწინებით) და კანონს ჩვენი საზოგადოებისათვის მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრს ლაპარაკობენ ამ კანონის უსაფუძვლობაზე, იგი მაინც უკიდურესად

(გაგრძელება 2-ე გვ.)

(გაგრძელება 2-ე გვ.)

ბიჯვინთა. თენგიზ ფურცხვანიძის ფოტო.

ნოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი სპექტაკლი „მუნჯის სიზმრები“ (ამ სპექტაკლით გაიხსნა საქართველოს საქალაქო და სარაიონო სახელმწიფო თეატრების მესამე რესპუბლიკური ფესტივალი) ფიქრისთვის განწყობს მაყურებელს. მისი ნახვის შემდეგ მიხდოდა ზუსტად გამეხსენებინა გლოსტერის სიტყვები კაცობრიობის აღსასრულზე შექსპირის „მეფე ლირიდან“: „სიყვარული კვდება, მეგობრობა უფერულდება, სოფელში არეულობაა, სასახლეში კი უზნეობა და სისხლისღვრა, ოჯახები ინგრევა, ოჯახები! შვილი მამას ღალატობს... მამა შვილს ებრძვის, ხალხი გაბოროტდა, უხდობლობა და ორპირობა ბოლოს მოულებს ამ ქვეყანას“. სპექტაკლიდან გამოყოლილ განწყობილებას ზედმიწევნით ესადაგება გლოსტერის აღსარება.

გიორგი გამსახურდიას პიესა აშკარად არის დაკავებული აბსურდის და ეგზისტენციალური დრამის კლასიკოსებისაგან, თავის დროზე ხომ ჩვენს თეატრს დრამატურგიული ხელოვნების ამ „ფორმაციების“ გამოტოვება მოუხდა, არ შეეუდგებინა იმის გარკვევას, თუ მზა დრამატურგიულ სქემებიდან რომელი ვის ეკუთვნის... „მუნჯის სიზმრებში“ ავტორის ხილვები უფრო გონებამიერია, ამიტომაც არის, რომ მის პირობითობას ერთგვარად გამნაგორნის, ხელოვნურობის კვალი ანჩევია. დრამატურგიული პირობის თანახმად, პიესაში ადამიან-სიმბოლოები მოქმედებენ, იგი უმალ ფაბულას ეყრდნობა, ვიდრე სიუჟეტს, ამიტომ ამ „შინაარსის“ გაგებას აზრი არა აქვს, იქ ქცევა კი არა, უფრო მთავარი — ქცევის შეფასებაა. არსებითად, პიესა რეალურსა და ირეალურს შორის მერყეობს, ეს მთავარი გმირის სიზმარ-ცხადია, ამდენად სტრუქტურა პიესისა მოზაიკურია, მრავალი პრობლემებით და სატკივარით დაყურსული, როგორიცაა ჩვენი ცხოვრება!

დრამატურგი და რეჟისორი ესწრაფვიან გაარღვიონ უღიმღამობის გარსი, ისინი გასცდნენ ოთახის ფარგლებს. კოსმოსური მასშტაბების პრეტენზიით მოდის ორი დამწყები ავტორი, მაგრამ ისინი ახლა იწყებენ ფრენას და მისატევებელია ამგვარი მაქსიმალიზმი, სივრცის დაუფლების ეტინი.

კუკუს სიზმრები აბსურდული ნაჭრებია სპექტაკლისა, მაგრამ მის ფსკერზე მაინც საგრძნობია ის სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებანი, რომლებიც ჩვენს დროში, ჩვენს თავზე ხდება; ბევრ აზრობრივ დომინანტს, მრავალ საჭირბოროტო ფიქრს აღძრავს და შეიცავს ეს სიზმრები.

სპექტაკლი სევდითა და წუხილითაა სავსე, თითქოს ჰაერია გაიშვიათებული, ჭირს სუნთქვა და არსებობა, რეჟისორს არ უცდია მასში ოპტიმისტური ნათელის შეტანა, პირიქით, დრამატურგიისა რეჟისურაში, მასვე ეკუთვნის სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მხარეა სპექტაკლისა, იგი ბევრწილად განსაზღვრავს სანახაობის რიტმს, ტემპერამენტს...

სოხუმელთა სპექტაკლი იმიტომ უნდა ჩაითვალოს საგულისხმო მოვლენად, რომ მას ახალთაობის შემოქმედთა კოლექტივი ქმნის და, რაც მთავარია, ასე მკაფიოდ და მოქალაქეობრივი ტკივილით აღძრავს აქტუალურ საკითხებს მორალისა და პოლიტიკის სფეროდან. თანამოაზრენი საერთო სათქმელით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული — მათი ტკივილია ის, რომ თანამედროვე სამყარო სულიერ კრიზისს მოუცავს, როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად სულიერ ანარქიას განიცდის, თითქოს წეანგიც ხომ ფინალში საკუთარ შვილს კლავს!

მსახიობები ჯულიეტა პაკელიანი (მარინე), კახა შარაბიძე (გოგა), ნანა ხურითი (ნორა) გამორჩევიან სცენურობით, მაგრამ როლებზე მათი მუშაობა დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, ისინი წინააღმდეგობაში ვარდებიან. ეს დრამატურგია თამაშის სხვანაირ წესს ითხოვს, ისინი კი ტრადიციული მანერით თამაშობენ. გასაგებია, რომ მათ გაუჭირდათ გადართვა ერთბაშად სხვა გამომსახველობითს ხერხზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნუგზარ მგალობლიშვილის მხატვრობა, კოსტუმები და განათება. მხატვარმა კარგად აუოო ალღო პიესას.

სპექტაკლის მხატვრობა რეჟისურის შესაბამისად ორგვარი სამყაროს მოდელს წარმოსახავს, აქ სიზმარ-ცხადის ადეკვატური სამყაროა შექმნილი.

რეჟისორი განუხრელად მისდევს დრამატურგს, პიესის დადგმისას ზუსტად იცავს რემარკას და იმ სტილს, რომლითაც დაწერილია პიესა, მაგრამ ფინალში გადაუხვევს დრამატურგიიდან — ესაა კუკუს უკანასკნელი მოჩვენების სცენა; ოთხეულს შორის იმართება ბჭობა იმის თაობაზე, თუ ვინ დაიკავებს კუკუს ადგილს მისი სიკვდილის შემდეგ. ნორას წინადადებით ეს იქნება მარინეს მუცელში ჩასახული ნაყოფი... და თან ამ დროს რკინის ჩელკეტს უწვდის ჭანტურია-უშანგს, რომელიც გამეტებით ურტყამს ფეხმძიმე ცოლს, სასაკვდილოდ იმეტებს საკუთარ სისხლს და ხორცს, ისევ ახალშობილის ტირილ-ვედრება, ყოველივე ამას თვით კუკუ „ესწრება“, ის თითქოს ცოცხლდება, ამოდის კუბოდან და სასოწარკვეთილი მიდის დედის უსულო სხეულთან. უგონოდ მდინა ფეხმძიმე ქალი, რომელიც ნაყოფი ჩაკლეს, კუკუ ტირის უხმოდ, მერე ხმამაღლა ქვითინებს და ამოთქვამს კიდევ: დე-დან! დე-და! იმდენად ემოციურია ფინალი, რომ ეს ერთი მეტაფორა მთელ სპექტაკლად ღირს. მე დედის დატირებას მუნჯისაგან გადაბრუნებულ ქვეყნიერებას, ეუწოდებდი, ანუ „ეიეტას... პირიქთა“, თუ მიქელაძეს ჯელს ქმნილებაში ღვთისმშობელს კალთაში უწევს გარდამოხსნილი იესო, აქ პირიქთა — დედის ჭირისუფალი კნინი შვილია. თანამედროვე სამყაროს ვნებათა გამომსახველი მეტყველი მეტაფორაა — თითქოს ავადაა ფეხმძიმე დედამიწა, მოახლოებულია მისი აპოკალიფსური — გლობალური ტრაგედიად, კოსმოსურ უბედურებად აღიქმება. ყოფიერება, თითქოს სამყარო შეტორტმანდა და უნდა დაიქცეს...

გიორგი ლალიაშვილი.

* * *

სურათზე: ჯულიეტა პაკელიანი (მარინე) და ნუგზარ ჭანტურია (უშანგი) სპექტაკლში „მუნჯის სიზმრები“.

შალვა გოჟაქის ფოტო.

თეატრი

„პიეტა“ პირუკუ

რგიიდან გამომდინარე კაეშანს რეჟისორული ფინალი კიდევ უფრო მრუმეს ხდის.

მიუსაფარი და მარტოსულია სპექტაკლის ხუთივე გმირი, თაობათა შორის დარღვეულია ურთიერთობა, ისინი, ერთი ოჯახის წევრები, სრულიად გათიშულნი არიან, ერთმანეთისთვის არასოდეს სულიერთ, ნიადაგ სადღაც გარბიან, ეჩქარებათ, საკუთარ კარიერაზე ფიქრით არიან შეპყრობილნი. და მაინც, ამ ხუთეულში ყველაზე ტანჯული კუკუა, მას სახელიც კი არ ჰქვია ადამიანური; ეს ხომ უფრო თუთიყუშის სახელია, ის ყველას ხელწამოსაკრავია, ყველა მასზე იყრის ჯავრს, ზედმეტ ბარგად ქცეულა ოჯახში, ქვეშაგებში ძინავს, ძილი და სიზმარია მისი ერთგული თავშესაფარი. ის გრძნობს, რომ არავის არ სჭირდება მისი სიცოცხლე... ის არსებითად მკვდარია ცოცხალთა შორის. ტრაგიკულია მისი აღსასრული. თუმცა ოჯახის წევრები საგულდაგულოდ ჩაჭედავენ ფანჯარას, სწორედ ამ ფანჯრიდან გადახტება კუკუ. გაცნობიერებული აქვს მას თავისი ნაბიჯი. ამით უსვამს იგი წერტილს საკუთარ ტანჯვას. კუკუს ტრაგიკული აღსასრული სულისშემძვრელი პროტესტია სამყაროს მიმართ, ზნეობრივი კომპრომისებით დამძიმებული, კარიერის, „ოქროს ციებ-ცხელების“ მანიით შეპყრობილი საზოგადოების მიმართ, რომელთა გულგრილობა არღვევს ადამიანურ ჰარმონიას.

„მუნჯის სიზმრები“ თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტის ბეჟა ქავთარაძის პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯია რეჟისორად, მასვე ეკუთვნის სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მხარეა სპექტაკლისა, იგი ბევრწილად განსაზღვრავს სანახაობის რიტმს, ტემპერამენტს...

სოხუმელთა სპექტაკლი იმიტომ უნდა ჩაითვალოს საგულისხმო მოვლენად, რომ მას ახალთაობის შემოქმედთა კოლექტივი ქმნის და, რაც მთავარია, ასე მკაფიოდ და მოქალაქეობრივი ტკივილით აღძრავს აქტუალურ საკითხებს მორალისა და პოლიტიკის სფეროდან. თანამოაზრენი საერთო სათქმელით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული — მათი ტკივილია ის, რომ თანამედროვე სამყარო სულიერ კრიზისს მოუცავს, როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად სულიერ ანარქიას განიცდის, თითქოს წეანგიც ხომ ფინალში საკუთარ შვილს კლავს!

მსახიობები ჯულიეტა პაკელიანი (მარინე), კახა შარაბიძე (გოგა), ნანა ხურითი (ნორა) გამორჩევიან სცენურობით, მაგრამ როლებზე მათი მუშაობა დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, ისინი წინააღმდეგობაში ვარდებიან. ეს დრამატურგია თამაშის სხვანაირ წესს ითხოვს, ისინი კი ტრადიციული მანერით თამაშობენ. გასაგებია, რომ მათ გაუჭირდათ გადართვა ერთბაშად სხვა გამომსახველობითს ხერხზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნუგზარ მგალობლიშვილის მხატვრობა, კოსტუმები და განათება. მხატვარმა კარგად აუოო ალღო პიესას.

სპექტაკლის მხატვრობა რეჟისურის შესაბამისად ორგვარი სამყაროს მოდელს წარმოსახავს, აქ სიზმარ-ცხადის ადეკვატური სამყაროა შექმნილი.

რეჟისორი განუხრელად მისდევს დრამატურგს, პიესის დადგმისას ზუსტად იცავს რემარკას და იმ სტილს, რომლითაც დაწერილია პიესა, მაგრამ ფინალში გადაუხვევს დრამატურგიიდან — ესაა კუკუს უკანასკნელი მოჩვენების სცენა; ოთხეულს შორის იმართება ბჭობა იმის თაობაზე, თუ ვინ დაიკავებს კუკუს ადგილს მისი სიკვდილის შემდეგ. ნორას წინადადებით ეს იქნება მარინეს მუცელში ჩასახული ნაყოფი... და თან ამ დროს რკინის ჩელკეტს უწვდის ჭანტურია-უშანგს, რომელიც გამეტებით ურტყამს ფეხმძიმე ცოლს, სასაკვდილოდ იმეტებს საკუთარ სისხლს და ხორცს, ისევ ახალშობილის ტირილ-ვედრება, ყოველივე ამას თვით კუკუ „ესწრება“, ის თითქოს ცოცხლდება, ამოდის კუბოდან და სასოწარკვეთილი მიდის დედის უსულო სხეულთან. უგონოდ მდინა ფეხმძიმე ქალი, რომელიც ნაყოფი ჩაკლეს, კუკუ ტირის უხმოდ, მერე ხმამაღლა ქვითინებს და ამოთქვამს კიდევ: დე-და! დე-და! იმდენად ემოციურია ფინალი, რომ ეს ერთი მეტაფორა მთელ სპექტაკლად ღირს. მე დედის დატირებას მუნჯისაგან გადაბრუნებულ ქვეყნიერებას, ეუწოდებდი, ანუ „ეიეტას... პირიქთა“, თუ მიქელაძეს ჯელს ქმნილებაში ღვთისმშობელს კალთაში უწევს გარდამოხსნილი იესო, აქ პირიქთა — დედის ჭირისუფალი კნინი შვილია. თანამედროვე სამყაროს ვნებათა გამომსახველი მეტყველი მეტაფორაა — თითქოს ავადაა ფეხმძიმე დედამიწა, მოახლოებულია მისი აპოკალიფსური — გლობალური ტრაგედიად, კოსმოსურ უბედურებად აღიქმება. ყოფიერება, თითქოს სამყარო შეტორტმანდა და უნდა დაიქცეს...

გიორგი ლალიაშვილი.

* * *

სურათზე: ჯულიეტა პაკელიანი (მარინე) და ნუგზარ ჭანტურია (უშანგი) სპექტაკლში „მუნჯის სიზმრები“.

შალვა გოჟაქის ფოტო.

ნაადრევი ფინალი

დიახ, მსოფლიო ჩემპიონატი, ყველაზე ადრე, საბჭოთა ნაკრებმა დაამთავრა. ახლა მას შეუძლია შინ დაბრუნდეს, თუ, რა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯით არ ისურვებს იტალიაში დარჩენას. ასეთია ფიფა-ს ერთობ შეუფალი კანონი.

არადა, ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ მატჩში მას თითქოს და გაუღიმა ბედმა. ექსტრემალურ სიტუაციაში შემუშავებული გეგმის ნახევარი გუნდმა წარმატებით და ზუსტად შეასრულა. მაგრამ... გამარჯვების შემთხვევაშიც ერთადერთი ქულა აკლდებოდა და ყოფნა არ ყოფნაც დამოკიდებული იყო ნეაპოლის მატჩის შედეგზე, სადაც არანაკლებ რთულ ვითარებაში არკვევდნენ ურთიერთობას არგენტინისა და რუმინეთის გუნდები.

კამერუნმა მერვედფინალის საგზური ოთხი დღით ადრე გაიანდა და ბოლო მატჩში მეთვალყურის როლში უფრო მოგვეგლინა, ვიდრე მებრძოლისა. ამიტომ, არც თავი მოუკლავს მაინც, და არც თავის პრესტიჟზე უფიქრია.

გოლი, რომელიც 21-ე წუთზე პროტასოვმა გაიტანა, თავგანწირული, მაგრამ ცალმხრივი თამაშის ლოგიკური შედეგი იყო და, საკმაოდ დიდხანს მზადდებოდა. პირველი სერიოზული განაცხადი საბჭოთა ფეხბურთელებმა მატჩის მესამე წუთზე გააკეთეს, მაგრამ იმავე პროტასოვმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გახსნის ნაღი შესაძლებლობა. საგოლე მომენტები ხელიდან გაუშვეს გორლუკოვიჩმა — მეათე წუთზე, კუზნეცოვმა — ექვსი წუთის შემდეგ და ზალმოვმა — მეთვრამეტე წუთზე. ნანატრი გოლი მხოლოდ ამის შემდეგ გავიდა ლიტოვჩენკო-პროტასოვის ლამაზი კომბინაციის წყალობით.

სხვათა შორის, სამი მომდევნო გოლიც ეფექტური, ტექნიკურად სრულყოფილი და ლამაზი გახლდათ: შესვენებამდე გორლუკოვიჩმა გამოიჩინა თავი, მეორე ტაიმში კი ზავაროვმა და დობროვოლსკიმ.

4:0 — საბჭოთა ფეხბურთელებისათვის ფრიად ოპტიმალურ შედეგს წარმოადგენდა, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: ნეაპოლში რომელიმე მხარეს უნდა ემარჯვა! მაგრამ ეს არითმეტიკა ძეტოკვეებმაც კარგად უწყოდნენ და დაბარება ერთობ სათუო იყო. არგენტინელებმა, მარადონა კი გახსნეს ახგარიში, (მენსონი), მაგრამ რუმინელებმა მალე აღადგინეს წონასწორობა (ბალინტი) და შეხვედრაც ორივე მხარისთვის ხელსაყრელი შედეგით დამთავრდა — 1:1.

მსოფლიო ჩემპიონის შანსები ბოლომდე მაინც არ არის გამოკვეთილი და ბევრი რამ ჯგუფური ტურნირების სხვა შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ოღონდ ეს კია — არგენტინას ქულებიც საკმარისი აქვს და ბურთების ბალანსიც. მესამე ადგილზე გასულ კანდიდატთა კონკურსში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამ მონაცემებს მიენიჭება: ჯერ ქულებს, მერე გატანილ და მიღებულ ბურთთა სხვაობას, ბოლოს კი გოლების რაოდენობას. კენჭისყრა უკიდურესი ვარიანტია ამ შემთხვევაში.

აი, როგორ გამოიყურება მესამე ჯგუფის სატურნირო ცხრილი საბოლოოდ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
კამერუნი	3	2	0	1	3-5	4	
რუმინეთი	3	1	1	1	4-3	3	
არგენტინა	3	1	1	1	3-2	3	
სსრ კავშირი	3	1	0	2	4-4	2	

ერთი სავალდებულო განმარტება: რუმინეთის გუნდს უპირატესობა მიენიჭა იმიტომ, რომ მეტი გოლი აქვს გატანილი. არგენტინელები, რომლებსაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, როგორც ჩანს, შეგნებულად წავიდნენ ამ „დათმობაზე“, ბრძოლის გამწვავებასა და რისკს მშვიდობიანი ფინიში ამჯობინეს.

დამოლოს, რამდენიმე ნეიტრალური, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია, რომელთაც ასე უხვად გვაწვდიან უცხოეთის საგენტოები:

წესიერების დამრღვევ ფეხბურთელებს ფიფა-მ მკაცრი ფულადი სანქციები დაუწესა, მაგრამ ეს ზომა არ გამოდგა ეფექტური. პირველი 16 მატჩის შემდეგ „შავ სიაში“ ორმოცდაცხრა ფეხბურთელი მოხვდა, ოთხი კი მოედნიდან გაადევეს. ეფექტი აშკარად უმნიშვნელოა, სამაგიეროდ საერთაშორისო ფედერაციის სალაარო 400 ათასამდე შეეიცალული ფრანკით გამდიდრდა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება ჩემპიონატის ფინიშზე, თუ წესიერება დამრღვევთა რიცხვმა არ იკლო.

ფიფა-ს გენერალური მდივნის იოზეფ ბლატერის განცხადებით, შვედმა არბიტრმა ერიკ ფრედრიკსონმა უკვე დატოვა ჩემპიონატი. მსაჯთა კომისიამ ანალოგიური სანქცია გამოიყენა იტალიელი არბიტრის ლუიჯი ანიოლისა და საბჭოთა მსაჯის ალექსი სპირინის მიმართაც. მათი კვალიფიკაცია ექსპერტებმა ერთობ მდარედ მიიჩნიეს. — ასეა, საბჭოთა არბიტრებს ბედი არ წყალობსო, — შენიშნა ბლატერმა, — უკვე მეოთხე ჩემპიონატია, რაც მათ დროზე ადრე უკრძალავენ მსაჯობასო.

გაზეთ „კორერი დელო სპორტის“ კორესპონდენტის ცნობით, თურმე ვალერი ლობანოვსკისთან საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია. მწვრთნელს სამუშაოდ შესთავაზეს ორი კლუბი — ვალიადოლიდის „რეალი“ და „სევილია“. ცნობილი გახდა ისიც, რომ ზავაროვს იტალიის მეორე ეშელონის კლუბი („პარმა“) ეპატიჟება.

არგენტინის ნაკრების მთავარ მეკარეს ნერი პუმპიდოს რთული ოპერაცია გაუკეთეს ნეაპოლის ჰოსპიტალში. ყოველივემ წარმატებით ჩაიარა და ფეხბურთელი რამდენიმე დღეში გაეწერება, ოღონდ ეგ არის, მხოლოდ ოთხ-ექვსი თვის შემდეგ თუ შესძლებს ვარჯიშს.

ამის გამო არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს საადარიგო მეკარის დასახელების ნება სთხოვა. საერთაშორისო ფედერაცია ხომ საგანგებო შემთხვევებში მიდის ხოლმე ასეთ გადონაკლისზე. ლაზარონის გადწყვეტილი აქვს, არგენტინიდან გამოითხოვოს ან „რივერ პლეიტის“ მეკარე ანხელმო კომისო, ანდა კოლუმბიის „ამერიკის“ გოლიპერი სესარ ფალჩინო. და ფიფა-ს გადაწყვეტილებასაც დღეისათვის ელიან.

გურამ ნადარაია.

რედაქტორი
მინდია უბრეხელიძე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური ხაბიუმო-საცალო გაერთიანება „საქსპორტკულტსაქონელი“ და „საქიუველირვაჭრობა“ 24 ივნისს, კვირას, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 12-დან 19 საათამდე მართავენ ერთობლივ აუქციონს.

გაიყიდება იაპონური ფირმა „პანასონიკის“ წარმოების ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები და სამამულო წარმოების 5 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საიუველირო ნაწარმი.

ბილეთები გაიყიდება ფილარმონიის სალაროებში 20 ივნისიდან.

„საქსპორტკულტსაქონელი“ — „საქიუველირვაჭრობა“.

საბაზრო ეკონომიკა და პრესა

რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ახლა კრიზისული მდგომარეობიდან თავდაღწევის, სიუხვის შექმნის, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებად ძიძინეკენენ, როგორც ჩანს, ყოველივე ეს მოსახლეობის ფართო ფენებს ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებიათ სათანადოდ, რადგან იგრძნობა ადამიანების შეშფოთება ბაზართან დაკავშირებული ფასების ზრდის, ფულის შემდგომი ინფლაციის გამო და ა. შ. ჯერ არა გვაქვს ნათელი წარმოდგენა საბაზრო ეკონომიკის სხვა მხარეებზე, კერძოდ ისეთი პირობების შექმნაზე, რომლებიც ადამიანს საშუალებას მისცემს გამოიჩინოს თაოსნობა, აკეთოს ის, რაც შეუძლია და მიიღოს შრომის შესაფერისი ანაზღაურება. ამას გარდა, ბაზარი გულისხმობს ძოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებას, და რაც მთავარია, ყველივე ეს ხორციელდება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე.

ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომისტთა, ისტორიკოსთა, სოციოლოგთა, ჟურნალისტთა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ძალისხმევას გაერთიანებას ამისათვის, რომ ნათლად და გასაგებად განვმარტოთ საბაზრო მექანიზმის მეშვეობით მაღალეფექტიანი, მოქნილი ეკონომიკის შექმნის საკითხები.

(გაგრძელება 2-ე გვ.)

(გაგრძელება 2-ე გვ.)

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა სწორედ ამ მიზნით მოაწყო სემინარები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემებზე.

ამჟერად მოიწვიეს საქართველოს 25 რაიონული გაზეთის შემოქმედებითი მუშაკები. ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ მოწვეულთა განსახილველად შესთავაზა საკითხი რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისათვის; აღნიშნა, რომ საბაზრო ეკონომიკის საკითხებზე სისტემატურად და თანმიმდევრულად უნდა წერდეს ჩვენი პრესა, რათა უკეთ წარმოჩნდეს მისი არსი და ავ-კარგი.

ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდნენ პროფესორები ლ. ხიჭავა, ო. ვაშაკიძე, გ. პაპავა, დოცენტი გ. ჯაფარიძე, გ. ფირცხალავა, ჟურნალისტი გ. მანია.

მსჯელობა გაიმართა საბაზრო ეკონომიკის, მეურნეობის მართვის ადმინისტრაციული მეთოდების ეკონომიკური მეთოდებით შეცვლის, სოციალური დაძაბულობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევის, ახლებური აზროვნების ჩამოყალიბების, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი ამოცანების, კადრების მომზადებისა და სხვა პრობლემების გარშემო.

გამოითქვა აზრი, რომ საბაზრო ფორთოდ შექმედბოდეს საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან დაკავშირებული პოზიტიური და ნეგატიური მოვლენები, პრესამ ხელი უნდა შეუწყოს ბაზრის განვითარების ყველა ასპექტის ორგვარ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას.

რაც შეეხება ბაზარზე გადასვლის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევას, ეს უნდა მოხდეს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, დინჯად და აუჩქარებლად ყველა რანგის კომპეტენტურ პირთა და ხელმძღვანელთა მონაწილეობით, ადამიანებთან გაიმართოს გულახდილი დიალოგები, დისკუსიები, გამოყენებულ იქნეს ურთიერთობის მრავალფეროვანი ფორმები. ამასთან ხაზი უნდა გაესვას მთავარს, რომ საბაზრო ეკონომიკა არ არის თვითმიზანი, გარდაქმნის სტრატეგიის მთავარი აზრი ხომ მაღალეფექტიანი ეკონომიკის შექმნაა. საჭიროა პრესის ფურცლებზე ღრმად და საფუძვლიანად იქნეს განმარტებული საბაზრო ეკონომიკის ყველა შემადგენელი ელემენტი.

მერაბ ივანიძე.

„თედორეს“ პრემიერა

სათუოი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ოთარ ჩხეიძის ორმოქმედებიანი დრამა „თედორე“, რომელიც ისტორიულ-პატრიოტულ თემაზეა აგებული, ახლახან მორიგ პრემიერად უჩვენა მაყურებელს ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო თეატრმა. სპექტაკლის რეჟისორია ზაზა სიხარულიძე. მუსიკალურად გაფორმა თენგიზ შალამბერიძემ. მთავარ როლებს ასრულებენ თეატრის წამყვანი მსახიობები: საქართველოს სახალხო არტისტი იური ცანავა, საქართველოს დამსახურებული არტისტები ლუიზა ჯიბლაძე, ნიარ მესხიძე, როლანდ კაკაურიძე და სხვები.

ნიკო სულხანიშვილის საზოგადოება

ზუგდიერი ქალაქი თელავი, მისი მუსიკალური საზოგადოება ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებდა ქართული კლასიკური საგუნდო მუსიკის ფუძემდებლის, კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის ხსოვნას. ამის თვალსაჩინო დასტურია ახლახან თელავში შექმნილი ნიკო სულხანიშვილის საზოგადოება, რომლის პროგრამა მრავალ საუურადღებო და საჭირო ღონისძიებას მოიცავს. საზოგადოება ძირითად მიზნად ისახავს კომპოზიტორის მუზეუმის მოწყობას, მისი შემოქმედებითი მეკვიდრეობის პროპაგანდას, ეროვნული მუსიკალური ტრადიციებს განვითარებას.

ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 УЭ 05204 საქართველოს კპ ცკ-ის ბაეოფციეფლობის ეროვნის ყითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორეუსი, ხოშარაულის ფ. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14